

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბერის N 590 დადგენილებით დამტკიცებული ურეკი შუკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალამშენებლობით გეგმებში ცვლილება

განმარტებითი ბარათი

წარმოდგეილი დოკუმენტაცია მიზნად ისახავს „ურეკი- შუკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალამშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბერის N 590 დადგენილებით დამტკიცებული ურეკი შუკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალამშენებლობითი გეგმებში ცვლილების შეტანას.

საფუძველი

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 19 ნოემბრის ბრძანება N117/ო, ურეკი-შუკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე.
- ასევე 2022 წლის 15 აგვისტოს N 315/12 წერილის საფუძველზე წარდგენილი კონცეფციის სსიპ სივრცითი და ქალამშენებლობითი სააგენტოს საბჭოს 04/399 (16.09.2022) დადებითი გადაწყვეტილება.

მიზანი

დღეის მდგომარეობით, საპროექტო არეალი ქალამშენებლობითი დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენს საპროექტო გამწვანებულ ტერიტორიას. გამომდინარე იქიდან რომ ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე არსებობს, როგორც ძველი, ასევე ახალი მშენებლობები და მის გარშემო ტერიტორიები არის განაშენიანებული, ასევე უბნის მიმდებარედ და უბნის მოპირდაპირედ ყველგან ვრცელდება საკურორტო ზონა 1 (შზ-6) და საკურორტო ზონა 2 (შზ-7), მართებულად მიგვაჩნია, გთხოვოთ ზონის ცვლილება და მომავალში ტერიტორიის საკურორტო ზონა 1-ად (შზ-6) გამოყენების უფლება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბერის N 590 დადგენილებით დამტკიცებული ურეკი შუკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალამშენებლობითი გეგმებში წარმოდგემოდგენილი კონცეფციის საფუძველზე ცვლილება შედის შემდეგ დოკუმენტაციაებში:

- 1) დანართი N 3 გრაფიკული ნაწილი: გვ 4- ზონირების რუკა; გვ 17- საცხოვრისი, არსებული მდგომარეობა და სამომავლო განვითარება;
- 2) დანართი N 4: ქვე-ზონების რუკა.
- 3) ურეკი-შუკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალამშენებლობითი დოკუმენტაცია ტექსტური ნაწილი.